ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2277072

ნომერი: AR1352442

თარიღი : 28.10.2015

გაცემის თარიღი : 05.11.2015

გაცნობის თარიღი : 09.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 12ა , კორპუსი N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა კახობერაშვილი პ/ნ 01019003087
- თბილისი, ბჟოლეთის ქუჩა #1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1352442 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინაღმდეგებით ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. #12ა, #5 კორპუსზე მილებისა და ფანჯრის ღიობის მოწყობაზე ნებართვის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზ. #12ა, #5 კორპუსზე (ს/კ #01.

12.08.021.017) ფანჯრის ღიობის და მილების მოწყობასთან დაკავშირებით სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს, ხოლო თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწარმოებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.